ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა ძმობა, ლიტერატურათა ძმობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

☐ პარასკევი 27 ოქტომბერი 1978 წ. ☐ № 253 (17297) ☐ ფასი 2 კაპ.

დღეს თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში საზეიმოდ გაიხსნება

საბჭოთა ლიტერატურის დღეები

ესწრებიან საბჭოთა ლიტერატურის დღეების ელჩებს!

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მივესალმება და გულითადად ულოცავს კომკავშირელებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას დიდ დღესასწაულს — სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის მე-60 წლისთავს.

დიდი ლენინის ინიციატივით შექმნილმა კომკავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი და გმირული გზა გაიარა. კომკავშირთან, მის სახელოვან ისტორიასთან განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის ბიოგრაფია. მის რიგებში კომუნისტური წრთობის სკოლა გაიარა თითქმის 150 მილიონმა კაცმა. ახალგაზრდა ლენინელთა კავშირი მკაფიოდ განასახიერებს საბჭოეთის რევოლუციურ შემართებას, რომანტიკას, მარადიულ ახალგაზრდობას, ქალიშვილებისა და ჭაბუკების მისწრაფებას იცხოვრონ, იმუშაონ და იბრძოლონ ლენინურად, კომკავშირულად.

კომუნისტებთან, მთელ მშრომელ ხალხთან ერთად კომკავშირელები უშიშრად იბრძოდნენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, თავდადებით შრომობდნენ პირველი ხუთწლედებისა და ომის შემდგომი აღორძინების მშენებლობებზე. ლენინურმა კომკავშირმა დიდი წვლილი შეიტანა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აშენებაში, იგი აქტიური აღმშენებლობითი ძალაა, საბჭოთა ახალგაზრდობის მებრძოლი ორგანიზატორია. კომკავშირის შრომითი და მხედრული გმირობა ღირსეულად დაეფასა სამშობლომ — მის დროშაზე საბჭოთა კავშირის ექვსი ორდენი კიაფობს!

სამოცდაათიანი წლების კომკავშირელები წმიდად იცავენ „კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის შესანიშნავ ტრადიციებს, ღირსეულად განაგრძობენ უფროს თაობათა დიად საქმეს. ახალგაზრდობა მტკიცედ იბრძვის სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. მებრძოლურად, მისთვის დამახასიათებელი ენერგიით მონაწილეობს იგი ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სიმდიდრეთა ათვისებაში, არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნაში, ეუფლება ცოდნას, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს. სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი პარტიას ეხმარება ნორჩი ცვლისათვის მაღალი იდეური მრწამსის, შრომისმოყვარეობის, ზნეობრივი სიწმინდის, იმ გრძნობის ჩანერგვაში, რომ ყოველ წუთს მზად იყოს სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. მთელი თავისი საქმეებით კომკავშირი ღირსეულად ადასტურებს, რომ უფლება აქვს ეწოდებოდეს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა დამკვრელი რაზმი.

მომწიფებული სოციალიზმის პირობებში შექმნილია უაღრესად ხელშემწყობი შესაძლებლობანი ახალგაზრდა თაობის ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის. ლენინური კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტიურობის გამოვლენის ფართო ჰორიზონტები დასახა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული კომკავშირი კვლავაც იქნება ახალი საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში, ახალგაზრდობას ჩაუნერგავს მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, კომუნიზმის მშენებლობისათვის მზადყოფნას, ნებისყოფასა და უნარს!

გაუმარჯოს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ თანაშემწეს და საიმედო რეზერვს!

დიდება ჩვენი დიადი სამშობლოს ახალგაზრდა თაობას!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ათი თვის გეგმა—ვადამდე

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1978 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, გრაფიკის გასწრებით, 26 ოქტომბერს შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-ოქტომბრის გეგმა.

როგორც თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე, 26 ოქტომბერს გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1978 წლის იანვარ-ოქტომბრის გეგმა.

ვ. ვ. კუზნეცოვი საქართველოში

საქართველოში სამ დღეს ყოფა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. ვ. კუზნეცოვი.**

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვი შეხვდა საქალაქო აღმასკომის ხელმძღვანელ მუშაკებს, ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებს. მათთან საუბრისას ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოებმა კიდევ უფრო უნდა გააქტიურონ საქმიანობა, რათა მაქსიმალურად დაკმაყოფილონ მშრომელთა მოთხოვნები, შესრულონ ამომრჩეველთა განაწესები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა საკითხზე.

ამხანაგი ვ. ვ. კუზნეცოვი ეწვია ხაჩეთს, სადაც დაათვალიერა ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, შეხვდა მევენახეებს, ღვინისა და საკვებეულის მრეწველობის მუშაკებს, საგარეჯოს, გურჯაანის, ყვარლისა და თელავის რაიონების პარტიულ და საბჭოთა აქტივს.

კოლმეურნეებთან და საბჭოთა მეურნეობების მუშებთან საუბრის დროს მან მიიღოცა მათ დიდი გამარჯვება — საქართველოს ამ რეკორდისათვის — უმნიშვნელოვანესი სოფლის მეურნეობის პროდუქციის — ყურძნის წარმოების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება. მიესალმა და ცხოვრებასა და შრომაში ყოველივე საუკეთესო უსურვა მათ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით, ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა მთავარი ყურადღება მიაქცია ამას, რომ საჭიროა ყოველნაირად გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ოქტომბრის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, შრომისა და დასვენების უაღრესად ხელშემწყობი პირობები შეუქმნან სოფლის მშრომელებს, ხელი შეუწყონ მშრომელებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით განსაზღვრული და დამკვიდრებული უფლებებისა და მოვალეობების შესრულებაში. მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა, პარტიულმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მეტად უნდა იზრუნონ უნარიანი, კარგად მომზადებული კადრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების განმტკიცებაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ ამოცანებს, როგორიც არის სოფლად საბჭოთა მშენებლობის შემდგომი სრულყოფა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების განმტკიცება კვალიფიციური მუშაკებით, რომლებსაც უნარი შესწევთ დამოუკიდებლად და ოპერატიულად გადაწყვიტონ მშრომელთა საარსებო საკითხები. აღინიშნა, რომ საბჭოების მუშაობის დონის ამაღლება ბევრად შეუწყობს ხელს საგეგმო და სამეურნეო დისციპლინის განმტკიცებას და, მაშასადამე, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა დაათვალიერა თელეთის მეცხოველეობის კომპლექსი, საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში.

ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვი შეხვდა ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. **შევარდნაძემ** მას გააცნო რესპუბლიკის საქმის ვითარება, პრობლემები, რომლებიც პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე დგას, აცნობა, თუ როგორ წყდება ისინი.

ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვმა მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკის მშრომელთა მუშაობას სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესრულებისათვის, საბჭოების საქმიანობას პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს ამხანაგ **ვ. ვ. კუზნეცოვს** ახლდნენ ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ხ. ე. ხაბეიშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ვ. ლაშქარაშვილი.**

26 ოქტომბერს ამხანაგი ვ. ვ. კუზნეცოვი თბილისიდან გაემგზავრა. (საინფორმი).

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა, შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერისი ნაწარმოებები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში

დიდი დღესასწაული დადგა საქართველოს მიწა-წყალზე. ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, ქვეყნის ყველა მხრიდან და ოლქიდან ჩამოვიდნენ თბილისში საბჭოთა ლიტერატურის დღეებზე პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები, კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები. მათ მოელით შეხვედრები მრავალრიცხოვან აუდიტორიასთან, დიალოგები მკითხველებთან, დისკუსიები და საუბრები საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზებზე.

საბჭოთა სიტყვის ოსტატთა ერთიანი გზა გვიჩვენა ვ. ი. ლენინმა, და მათი ახლანდელი ერთიანობა, მათი მეგობრობა და ძმობა გამოჭვალულია ლენინური აზრით სოციალისტურ საზოგადოებაში მწერლისა და ლიტერატურის როლის შესახებ.

გუშინ საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლები გაემართნენ თბილისის ცენტრის — ლენინის მოედნისაკენ, სადაც ბელადის მონუმენტია აღმართული. მათ ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. ალექსეი ლენტზე ოქროს ასოებით ეწერა: „ლენინს — საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებისაგან“.

ამავე დღეს დელეგაციის წევრები მივიდნენ რუსთაველის მოედანზე — უკადავი „კეფნისტყაოსნის“ ავტორის ძეგლთან. ღრმად სიმბოლურია ის ამბავი, რომ საბჭოთა ლიტერატორებმა თავი მიიყარეს იმ პოეტის ძეგლთან, ვინც ჯერ კიდევ აღორძინების გარიჟრაჟზე უმღერა ხალხთა შეგობრობას, ძმობას და თანასწორობას. რუსთაველის შემოქმედება, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე აჟღერდა, თანაბრად ახლობელი და ძვირფასია ყველასთვის. სწორედ ეს არის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიშან-თვისება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კულტურისა, სადაც ერთი ერის სულიერი სიმდიდრენი ყველა მოძმე ხალხის კუთვნილება ხდება. საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებმა ძეგლი გვირგვინით შეამკეს.

ვ. ი. ლენინისა და რუსთაველის ძეგლების გვირგვინებით შემკობის ცერემონიალში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩარქვიანი.** (საინფორმი).

სურათზე: საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი თბილისში ვ. ი. ლენინის ძეგლთან.

ფოტო. ვლ. ბინზბურგის

ჩვენ საბჭოთა ხალხი ვართ

მ. შევარდნაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ერთიან ოჯახში

ხელოვანის სიტყვა... მის დღეგრძელობასა და მარადიულობას განსაზღვრავს დროის ფაქიზი გრძნობა, ის, თუ როგორ ეხმიანება იგი სინამდვილის აქტუალურ პრობლემებს. ჩვენი ქვეყნის სიტყვის ოსტატთა ნაწარმოებები მთელი მსოფლიოსათვის გახდა რევოლუციური ჰუმანიზმისა და ძმობის, პიროვნების ნამდვილი თავისუფლების, ყოველმხრივი სულიერი და საზოგადოებრივი პროგრესის მაღალი კომუნისტური იდეალების მაუწყებელი.

სწორედ ეს განაპირობებს მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის უდიდეს მიღწევათა წარუვალ მხატვრულ მნიშვნელობას, რომელიც შთაგონებს ჩვენს ხალხს ახალ ხავმირო საქმეებს, აუწყებს მსოფლიოს სიმართლეს ოქტომბრის სამშობლოს შესახებ.

ეს კარგად თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა: „საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები შეადგენს ჩვენს ფასდაუდებელ სულიერ სიმდიდრეს, ჩვენს სოციალისტურ საერთო-ეროვნულ სიამაყეს. მათი დიდი ნაწილი შეხსენია მსოფლიო კულტურის საგანძურის ფონდში. ყოველივე შესანიშნავი, რაც შეუქმნიათ საბჭოთა მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, თეატრისა და კინოს მოღვაწეებს, ცოცხლობს და იცოცხლებს ხალხში, ხელს შეუწყობს ჩვენი დიადი იდეალების გამარჯვებას“.

როცა კომუნიზმის მშენებლობის დიად გეგმებზე, მეათე ხუთწლედის ამოცანებზე, ჩვენი სამშობლოს შუმდგომ აყვავებაზე ვბაჭობთ, არასოდეს არ ვივიწყებთ და არცა გვაქვს უფლება დავივიწყოთ, რომ ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლიათ მხოლოდ ადამიანებს, რომლებმაც შემოქმედებითად აღიქვეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, სულით ძლიერ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან თავიანთი ზნეობრივი მრწამსი. სწორედ ამის შედეგია ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც პარტია უთმობს საბჭოთა ადამიანების სულიერი კულტურის განვითარებას, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს.

საბჭოთა მწერლების საუკეთესო წიგნები კვლავენ მომავლის გზას, ისინი თავიანთი ყოველი სტრიქონით აცნობენ ჩვენი პლანეტის ადამიანებს კომუნიზმის ცხოველმყოფელ იდეებს, უჩვენებენ სოციალისტური ცხოვრების წესის არსს, საბჭოთა ხალხის დიად საქმეებსა და ზრახვებს. ყოველი ნიჭიერი ნაწარმოები, ჩვენი ქვეყნის 76 ენიდან რომელ ენაზეც უნდა იყოს შექმნილი, ინტერნაციონალური ძმობის სულისკვეთებას გამოხატავს. ამ მადლიანმა ტრადიციამ, რომელიც ეროვნულ კულტურათა მრავალსაუკუნოვანი განვითარების მსვლელობაში ყალიბდებოდა, სრულფასოვანი ყღერადობა სწორედ საბჭოთა ეპოქაში შეიძინა. ჩვენი ქვეყნის ყოველი ხალხი სამართლიანად ამაყობს იმ ადამიანებით, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ჭედდნენ ამ ურღვევ მეგობრობას. რუსთაველი, ნიზამი, ნავოი, პუშკინი, ლერმონტოვი, შევჩენკო, თუმანიანი, რაინისი, აბაი — აი მხოლოდ რამდენიმე უმაღლესი მწვერვალი ჰუმანიზმისა და ძმობისა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განმტკიცდა და დამკვიდრდა ერთა ურთიერთობის პრინციპები, რომლებიც უარყოფს ყველაფერს, რაც აშორებს ხალხებს, რაც უკან ეზიდება მათ, სოციალური და კულტურული პროგრესის გზას აცდენს მათ და ამით დასალუპავად სწირავს.

ორი იდეოლოგიის — კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების შეურიგებელი ბრძოლის პირობებში თავისი სიტყვა უნდა თქვას მხატვრულმა ლიტერატურამ. ვ. ი. ლენინი მართებულად წერდა: „...სოციალისტური იდეოლოგიის **ყოველგვარი** დაკნინება, მისგან **ყოველგვარი** ჩამოშორება უკვე თავისთავად ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“.

საბჭოთა მწერლის საპატიო ვალია უკომპრომისოდ ებრძოდეს წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის რეციდივებს, არ ურიგდებოდეს ხოციალისტური ხაერთო ცხოვრების ნორმებიდ დარღვევის ფაქტებს. თვით არსი პროფესიისა მას უფლებას არ აძლევს არ მონაწილეობდეს არნახული მასშტაბის მუშაობაში — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. არა არის რა უფრო აქტუალური ამოცანა ხელოვანისათვის, ვიდრე ზრუნვა ადამიანის სულიერი სილამაზისა და ზნეობრივი სრულყოფისათვის — წინააღმდეგ ბურჟუაზიული მორალისა, რომელიც შიშსა და უნდობლობას, პესიმიზმსა და შუღლს თესავს ადამიანთა შორის.

ინტერნაციონალიზმის იდეები აცისკროვნებს მწერალთა შემოქმედებასა და საზოგადოებრივ საქმიანობას. განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში განმტკიცდა საბჭოთა ლიტერატურის მრავალეროვნული ერთიანობა — მოვლენა, უფრომლისოდაც ძნელი წარმოსადგენია, თუ რა გზით უნდა განვითარდეს მისი რომელიმე ეროვნული რაზმი. და ლიტერატურათა ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესების გაარზების საფუძველი გახდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დებულება ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის შესახებ.

საქართველოს, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, კულტურის მოღვაწეებს მთლიანად აქვთ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ღირსეული წვლილი შეიტანონ ხალხთა იდეური წრთობისა და ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

კულტურის დარგში საქართველოს მიღწევებს რომ ვაფასებთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი და გეგმაზომიერი მუშაობა, რომელსაც ამ ბოლო დროს ეწევიან პარტიული ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, კულტურის დაწესებულებები მთელი შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციისათვის, უფრო მჭიდრო შეკავშირებისათვის.

შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი მზრუნველმა დამოკიდებულებამ და მუდმივმა ყურადღებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. დღეს სრული საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესანიშნავ წარმატებებზე, საკავშირო სარბიელზე მისი ავტორიტეტის შესამჩნევ ზრდაზე, მთელ რიგ საინტერესო ნაწარმოებებზე, რომელთა ავტორები გამიზნულად, ფილოსოფიური სიღრმით, არა მარტო როგორც ანალიტიკოსები, არამედ როგორც მებრძოლები უჩვენებენ მსოფლიოს ახალი ადამიანის ჩამოყალიბების უმაგალითო და არნახულ პროცესს, სოციალურ პროცესს თავისი ყველაზე უფაქიზესი ფსიქოლოგიური გამოვლინებებით.

უძველესი ქართული ლიტერატურის მხარდამხარ რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება შედარებით ახალგაზრდა ლიტერატურები — აფხაზური, ოსური. ნაყოფიერად შრომობენ საქართველოში სხვა მრავალი ეროვნების მწერლები — რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქურთები.

გასულ საუკუნეში ეროვნულ ენებზე, მათ შორის ქართულად, ნაწარმოებების გამოცემა დამოკიდებული იყო ქართული კულტურის პროგრესული მოღვაწეების პირად ინიციატივაზე, უწინარეს ყოვლისა ისეთი ადამიანების თავდადებულ მოღვაწეობაზე, როგორიც იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე — სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი. იგი და მისი თანამოსაგრენი დიდად უწყობდნენ ხელს თბილისში სომხური და აზერბაიჯანული ჟურნალ-გაზეთების გამოცემას.

ჩვენს დროში მოძმე ხალხთა ენებზე მწერალ რესპუბლიკის ლიტერატორებს უდიდეს დახმარებას უწევს სახელმწიფო. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, მაგალითად, არის ჟურნალი „ალაშარა“ და გამომცემლობა „ალაშარა“, ცხრრეთ ოხეთის ავტონომიურ ოლქში — გამომცემლობა „ირისთონი“ და ჟურნალი „ფიდიუაგი“. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არის ცნობილი ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუზია“, აგრეთვე რუსულ ენაზე მწერალთათვის გამომავალი ალმანახი „დომ პოდ ჩინარამი“. გამოდის სომეხ მწერალთა ალმანახი

(დასასრული მე-2 გვ.).

გაუმარჯოს ძმად შეფიცულს, ერთიან ოჯახში

(დასასრული)

„ამოსტ“, გაზეთი „სოვეტ გურჯისტანი“ აზერბაიჯანულ ენაზე და „სოვეტაკან ვრასტანი“ — სომხურ ენაზე. საქართველოს რადიოს პროგრამები გადაიცემა შვიდ ენაზე: ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ქურთულ ენებზე. ახლახან შეიქმნა აფხაზეთის ტელევიზია. კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თეატრებს, ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრს, ს. შაუმიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრს. ამგვარი შთამბეჭდავი ფაქტები მარტო დროის მოთხოვნა კი არა, კულტურის დარგში კომუნისტური პარტიის პოლიტიკის წარმატებათა დამაჯერებელი დადასტურებაა, რომელიც ხელს უწყობს ხალხთა შორის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემდგომი შემოქმედებითი ზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოველდღიური ზრუნვას.

დიდია ლიტერატურის ძალა — იგი უწყვეტი ძარღვებით ერთიანებს ხალხთა გულებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნიშნება მთარგმნელთა საქმიანობას.

ქართულ ლიტერატურას ბედი სწყალობს. ჩვენ მადლიერებით ვიხსენებთ სიტყვაკაზმული მწერლობის შესანშნავ ოსტატებს, რომლებმაც ამდენი შემოქმედებითი მგზნებარება, შეალიეს, ამდენი უნარი და სული ჩააქსოვეს თავიანთ შუმბლიურ ენაზე ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების თარგმნის საქმეს, თავიანთი საკუთარი აღფრთოვანებული სტრიქონები უძღვნეს ჩვენს რესპუბლიკას. ქართველი ხალხის დიდი მადლიერება და სიყვარული გამოიხატა იმით, რომ უმაღლესი რესპუბლიკური ჯილდო — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიანიჭეთ ნიკოლოზ ზაბოლოცკის, ნიკოლოზ ტიხონოვს, მიკოლა ბაჟანს.

1966 წელს მთელმა ქვეყანამ ფართოდ აღნიშნა დიდი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. მოსკოვში გაიხსნა პოეტის ძეგლი, და მიტინგზე მოსკოველმა მუშამ ვ. კ. კოკოშკამ ასე გამოხატა შრომელი ხალხის ძმური გრძნობები: „ჩვენ, მუშები, ისევე როგორც ყველა მოსკოველი მშრომელი, მოხარული ვართ და ვამაყობთ, რომ აქ, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, დაიდგა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ძეგლი. დაე იგი აქ საუკუნოდ იდგეს და სიმბოლურად გამოხატავდეს რუსი და ქართველი ხალხების მარადიულ მეგობრობას“.

საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა საბჭოთა ადამიანების ფასდაუდებელი მონაპოვარია, იგი ეხმარება მათ შრომაში, ეხმარებოდა ბრძოლაში... 1941 წელს ალყაშემორტყმულ ლენინგრადში გადაწყვიტეს გამოეცათ გ. ლეონიძის წიგნი. ფაშისტური ბომბი მოხვდა სტამბას, და მაინც მთელი ტირაჟი არ დაღუპულა. წიგნის ერთ-ერთი ეგზემპლარი ნიკოლოზ ტიხონოვმა გამოუგზავნა ავტორს შემდეგი წარწერით:

„ჩემს ძვირფას მეგობარს, საყვარელ გოგლა ლეონიძეს, საქართველოს და ჩვენი დროის უმშვენიერეს პოეტს — ჩემეული თარგმანი მისი საოცარი წიგნისა, რომელიც დასაბეჭდად ხელმოწერილი იყო ლენინგრადის ტყურმის დღეებში, მაშინ როცა ჩემი თარგმანი ქვეშ მოიყოლა გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ ნანგრევებმა. და მაინც გამოვიდა ეს თარგმანი. ბომბებთან და შტურმებთან შერკინებაში გამარჯვებული, როგორც დასტური ჭეშმარიტი პოეზიისა. ამ წიგნის თითზე ჩამოსათვლელი ეგზემპლარებიდა დარჩა, მაგრამ მათ კითხულობდნენ ლენინგრადის ფრონტის სანგრებში — ეს კი უკვე ნამდვილი პოეტური ისტორიაა. ამრიგად, შენ არც კი გეკითხა, რომ ლენინგრადს იცავდი იმ დღეებში“.

მახსენდება დიდი პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის მაქსიმ გორკის სიტყვები: „იდეალური იქნებოდა, საბჭოთა კავშირში შემავალი ყოველი ხალხის ყოველი ნაწარმოები რომ ითარგმნებოდეს კავშირის ყველა სხვა ხალხის ენებზე. ამ შემთხვევაში ჩვენ ყველანი უფრო სწრაფად შევიცნობთ ერთმანეთის ეროვნულ-ულტურულ თვისებებსა და თავისებურებებს, ეს შეიცნობა კი, ცხადია, ძალზე დააჩქარებდა იმ ერთიანი სოციალისტური კულტურის შექმნის პროცესს, რომელიც არც ერთ ერს არ დაუკარგავდა ინდივიდუალურ სახეს და შექმნიდა ერთიან, დიად, მძლავრ და მთელი მსოფლიოს განმათავლებელ სოციალისტურ კულტურას“.

ეი რაზე ოცნებობდა საბჭოთა ლიტერატურის უფროფმდებელი, რომელმაც თქვა ბევრი რამ გაკეთა პრაქტიკულად ამ ზ[illegible]ეთა განხორციელებისათვის. მისი ინიციატივით იქმნებოდა მწერალთა ბრიგადები, რომლებიც რესპუბლიკებში ჩადიოდნენ მომე ხალხთა ცხოვრების შესასწავლად. საქართველოში მადლიერებით იგონებენ, რომ ასეთ ბრიგადებს ჩამოპყენენ ნიკოლოზ ტიხონოვი, პეტრე პავლენკო, ბორის პასტერნაკი, იური ტინიანოვი, ოლგა ფორში, ვიქტორ გოლცევი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პავლე ანტოკოლსკი, მიკოლა ბაჟანი, რომლებიც ქართული ლიტერატურის ერთგული მეგობრები გახდნენ.

მათს ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობენ კონსტანტინე სიმონოვი, მიხეილ ლუკონინი, ალექსანდრე მეფიროვი, ევგენი ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ელენე ნიკოლაევსკაია, ვიტალი კოროტიჩი, სტანისლავ კუნიაევი, ვლადიმერ ლეონოვიჩი და მრავალი სხვანი, რომლებმაც ქართული ლიტერატურა საკავშირო მკითხველის კუთვნილებად აქციეს.

ახდა მაქსიმ გორკის ოცნება. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სამოცი წლის მანძილზე შეიქმნა და წარმატებით ვითარდება ყველა მოძმე ხალხისათვის საერთო საბჭოთა კულტურა. ლ. ი. ბრეჟნევმა ზუსტად დაახასიათა მთელი ხალხისათვის უმნიშვნელოვანესი ეს პროცესი: „საბჭოთა სოციალისტური კულტურის ეროვნულ ფორმათა მრავალფეროვნებაში სულ უფრო შესამჩნევი ხდება საერთო ინტერნაციონალისტური ნიშანთვისებები. ეროვნულს სულ უფრო მეტად ანაყოფიერებს სხვა მოძმე ხალხების მიღწევები. ეს პროგრესული პროცესია. იგი შეესაბამება სოციალიზმის სულისკვეთებას. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ინტერესებს. სწორედ ასე ეყრება საფუძველი ახალ, კომუნისტურ კულტურას, რომელმაც არ იცის ეროვნული მიჯნები და თანაბრად ემსახურება ყველა მშრომელ ადამიანს“.

საბჭოთა კულტურას დღენიადაგ ამდიდრებს ეროვნული ლიტერატურათა მრავალფეროვანი და დაუშრეტელი საგანძური. მაგრამ ამ პროცესის მნიშვნელობის დანახვა არ სურს ზოგიერთ ბურჟუაზიულ კრიტიკოსს მათ დაუფიქიათ, რომ ლიტერატურათა კავშირურთიერთობის განმტკიცება და დაახლოება სპობსო ეროვნულ თავისებურებებს. აღარიბებსო ფორმას, უსახურს ხდიო შემოქმედებითს ინდივიდუალობებს. ეს აკვიატებული, აშკარა ფაქტების გამაუკუღმართებელი შეხედულებაა საბჭოთა სინამდვილეზე.

ვერც ერთი ლიტერატურა ვერ განვითარდება კარჩაკეტილად. პირიქით, ბუნებრივია, როცა მწერლები ისწრაფვიან შეიცნონ სხვა ლიტერატურათა მიღწევები, და რაც უფრო თვრთოა ხელოვანის თვალსაწიერი, მით უფრო ჯადოსნურად ფლობს იგი მხატვრულ სიტყვას. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ არის დასავლეთის თანამედროვე ლიტერატურაც. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ბევრ დასავლეთევროპელ მწერალზე ტოლსტოის, დოსტოევსკის, გორკისა და რუსული ლიტერატურის სხვა კლასიკოსების შემოქმედებამ. ახლა არავის აღარ ეეპვება ეს ფაქტი, რომ სოციალისტური იდეები და წარმოდგენები სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს დასავლეთის ინტელიგენციაში. ამ მხრივ საგულისხმოა პორტუგალიელი კრიტიკოსის ედუარდუ პრადუ კოელიუს სიტყვები: „დღეს ჩვენ ვიცით, რომ ახლა უკვე ყველაფერი უნდა შეიცვალოს და ჩვენ ისე უნდა ვქნათ, რომ ყოველი სიტყვა აქტიურად და შეუმჩნევლად მუშაობდეს სოციალიზმის მშენებლობისათვის“.

სოციალისტური ცხოვრების წესის არსი გულისხმობს თითოეული მოქალაქის შეგნებისა და სოციალური აქტიურობის მაღალ დონეს, მის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, ზნეობრივ სისპეტაკეს. სწორედ ამიტომ მიაჩნია პარტიას კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ადამიანის აღზრდა.

ამ შემთხვევაში ლიტერატურისა და ხელოვნების პრინციპია განმტკიცოს პიროვნების მოქალაქეობრივი პოზიცია, წარმართოს იგი აქტიური მოქმედებისათვის ჩვენი იდეების გასამარჯვებლად.

განვითარებული სოციალიზმის სტადიაში საბჭოთა ხალხის შესვლა ობიექტურ პირობებს ქმნის თვისებრივად ახალი ეტაპისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაშიც. ამაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს ქართული საბჭოთა ლიტერატურის, ჩვენი ძმების — აფხაზთა და ოსთა ლიტერატურების, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ლიტერატურების უეჭველი წარმატებანი.

მე არ ჩამოვთვლი ნაწარმოებებსა და მათს ავტორებს, ვაითუ, რაიმე მნიშვნელოვანი გამომრჩეს. მაგრამ ერთ რამეს კი ვუსაყვედურებ ლიტერატურულ კრიტიკოსებს. იშვიათია, ჩვენში სტატია, სადაც საკითხი ასე იყოს დაყენებული: რა შეაქვს ახალი ამა თუ იმ ნაწარმოებს საერთოდ საბჭოთა ლიტერატურაში, რომელი ნაკადია, თუნდაც უმცირესი, რომ თავისთავად ერთვოდეს მსოფლიო ლიტერატურის თვალუწვდენელ ოკეანეს?

ასეთი შედარებანი საჭიროა, დადგა ამის დრო.

საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურა პირმშოა ოქტომბრისა, რომელმაც დაამკვიდრა ხალხთა თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. ამ ეპოქაზე ოცნებობდნენ მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნენი. ამას წინასწარმეტყველებდა პუშკინი: „როს ყველა ერი შუღლს დაივიწყებს და ერთად შექმნის ერთ დიად ოჯახს.“

პარტია დაუშრომლად გვასწავლის გავუფრთხილდეთ ბრძოლასა და შრომაში შობილ ჩვენს მოძმე ხალხების ერთობას, ვამრავლოთ მისი ტრადიციები. ამ მიზნის მისაღწევად მუშაობა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა უკეთილშობილესი ამოცანაა.

„ლიტერატურნაია გაზეტა“, 25/X-78 წ.



სურათზე: გამოჩენილი საბჭოთა მწერლები ნიკოლოზ ტიხონოვი (მარცხნივ) და კონსტანტინე სიმონოვი თბილისში სასტუმრო „ივერიასთან“ (სურათი გადაღებულია რამდენიმე წლის წინათ).

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

ნიკოლოზ ტიხონოვი

სიღნაღის კოშკები

1.

დებად ეკუთვნით უშგულის მთებს
თუ სვანურ კოშკებს, არავინ იცის, —
მთვრალი არა ვარ, მუნჯი ვარ მე
და თქვენი ზვრების ალმურში ვიწვი.
შემოდგომა და ღვინობის თვე,
ო, თვალთა ჩემთა სარკევ და ჩინო,
ლომურ პეშვებით ლომურად ხვრეპს
სიღნაღის მკვიდრი სიღნაღურ ღვინოს.
ჭიქას კბილებით შეახლის ცას
და მზე ყურყურით ეღვრება ყელში,
ისე თითქოს და წყალივით სვამს
სიგიჟეს ღვთიურს ღვთიური ეშხით.
ცარიელ ჭიქას შეახლის ცას,
მზე ვარსკვლავებად იღვრება ციად,
მზე ვარსკვლავებად იღვრება გზად
და ვარსკვლავები სუფრაზე ცვივა.
ჭიქა ბრუნდება ტრიალით ძირს,
რეკს და წკრიალებს თითებში ბროლი, —
მთვრალი კი მაინც არ არის ის,
იგი მთვრალია ჟინით და თრთოლვით.
და ღვინოსავით სიცოცხლე დუღს,
თუმც კვლავ ეშმაკობს სიკვდილი ვნებით...
და ეს ესიზმრება ვით ბავშვის გულს
სიღნაღელ მოყმეს მიჯნურის ფრთები.

2.

მისაყვედურებს მრავალი, მწამს,
მაგრამ სამართლეს ვეღარც მე ვფარავ
რა ვქნა თუ ქვეყნად კახელი კვლავ
სხვაზე მეტ ღვინოს მიირთმევს მარად.
მართლაც სხვა კიდევ სად არის, სად,
გლეხკაცის ბედს და ბუნებას ასე
შუქად ერთვოდეს ღვინო, ვით გზა
დიდ ცხოვრებაში გასაკვლევ გზაზე?!
სწორედ სიღნაღურ კოშკიდან ვჭვრეტ
აღიარებულ ბახუსის ძალით
ვით თვრება ხალხი სილაღით დღეს
და რომ არავინ არ არის მთვრალი.
იქ, სადაც დარდად და ღრუბლად დუმს
ძველი ყოფა და ალაზნის ნისლი
და სადაც ბიჭებს გულდაგულ სურთ
ჭალებში ჭაობს შეასკდნენ რისხვით.
სადაც ციების ჰავას და მწვირს
მშრომელი ხალხი ერთობით უტევს,
ვხედავ, რა მწველი სიკეთით მწიფს
იმედის ტოტზე სინათლის ბუდე.
ნანადირევად ჰკიდიათ გზებს
მზის ჩანჩქერების მადლი და ძღვენი, —
ვჭვრეტ, წნორისწყალთან მთებად რომ დევს
თუთუნის ოქრო — ოცნება ჩვენი.
მაგრამ ვენახის ოქროსფერ სულს
სულ სხვა სხივად სდის სისხლი და ლალი,
დრო უკვდავების ბადაგად დუღს
ღვინის უებრო სურნელით მთვრალი.
დებად ეკუთვნით უშგულის მთებს
თუ სვანურ კოშკებს, ვის რა აქვს აზრად, —
ეპოქა უთქმელ ლექსებად გწერთ
და ქარიმხლებად გარიგებთ გზა-გზა.
ითხოვეთ დიდი სიცოცხლე კვლავ,
ისმოდეს თქვენი ბუბუნი მუდამ, —
თქვენი მაღალი ოცნების მწამს,
თქვენი ცის გახსნას ვუმღერო უნდა!

თარგმანი მორის ფოცხიშვილისა.

გულის სითბო

ალექსი სურკოვი.

სოციალისტური მრავალეროვნული მწერლობის ზეიმი იწყება საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის 61-ე წლისთავის წინადღეებში. უეჭველია, იგი ჩვენი ლენინური პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების დამადასტურებელი იქნება.

ამ ლიტერატურული დღესასწაულის მონაწილე მწერლებს საშუალება ექნებათ ლიტერატურულ საღამოებში შეხვდნენ თავიანთ ნაწარმოებების კითხულობენ და მომთხოვნ მკითხველებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხების ერთ-ერთი უძველესი მწერლობის ყვავილნაყოფიერ ტრადიციებზე ფრიან აღზრდილნი.

მე ორგზის მხვდა დიდი ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო საიუბილეო საღამოებში, ქართველი ხალხის გენიალური შვილის — შოთა რუსთაველის შემოქმედებას ჰრომ მიეძღვნა. ეს იყო განუმეორებელი ზეიმი, რომელმაც ნათლად და დამაჯერებლად დაგვანახა საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის დაულეველი სულიერული თავისი სულმნათი პოეტის მიმართ. ამავე დროს ეს დღეები გადაიქცა „ფეოხისტყაოსნის“ ტრიუმფალურ სვლად ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა მხარეში და [illegible] ხუთიოდე მატერიკზე.–

საბჭოთა კავშირის საუკეთესო პოეტების დაუღალავი მუშაობის მეოხებით, რომლებიც საოცარი ალმაფრენითა და პოეტური შთაგონებით თარგმნიდნენ რუსთაველის „ხელოხელსაგოგმანებ“ ქმნილებას თავიანთ ხალხების ენებზე, „ვეფხისტყაოსანი“ გადაიქცა მთელი ჩვენი საზოგადოებრობის სულიერი სიბრძნის, და სიმდიდრის, განუყოფელ ნაწილად. სწორედ ამ დიდებულმა პოემამ აზიარა საბჭოთა მკითხველი რუსთაველის მზით გამთბარ მის შემკედრეებს. ესენი გიჭლავთ დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა და ჩვენი თანამედროვენი და მეგობრები გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, ალიო მირცხულავა, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი და ომის შემდგომ ქართველ პოეტთა მთელი პლეადა...

ჩვენ, რუსი პოეტები, ვამაყობთ იმით, რომ დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულმა ნიკოლოზ ტიხონოვმა, ბორის პასტერნაკმა, პავლე ანტოკოლსკიმ, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ, ალექსანდრე მეფიროვმა, ბელა ახმადულინამ და სხვებმა თავიანთი ბრწყინვალე თარგმანებით რუსთაველიდან დაწყებული ვაჟა ფშაველამდე დამთავრებული ჩვენი დროის პოეტებით, ქართული პოეზიის შედევრებს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრეს რუსი მკითხველების და პოეზიის მოყვარულთა სულიერ სამყაროში.

ჩვენი ძმები და მეგობრები — ქართველი საბჭოთა პოეტები რუსი ამხანაგებს ვალში არ დარჩენილან. მაიაკოვსკის, ტიხონოვის, ასეევის, სელვინსკის, ბაგრიცკის, ტვარდოვსკის, სვეტლოვის და სხვა პოეტების ნაწარმოებთა ქართულმა თარგმანმა საიმედო თვეშეაღარი პოეზა განუმეორებელი ქართული ლექსის მუსიკალურ საგანძურში.

საბჭოთა ლიტერატურის დღეები, რომლებიც იწყება საქართველოში, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ყველა ჩვენმა მოძმე ხალხის პოეტებმა დიდი და მეტად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს, ძნელი ცხოვრებისეული გამოცდ ბ ი ს და შრომითი გამარჯვებების დღეთა ქარიშხალში მუდამ გარკვეით ისმოდა ჩვენი ხმა.

ჩვენ, რუს პოეტებს, გვქონდა ამის საშუალება, რომ არაერთხელ გამოგვეტანა ჩვენი შემოქმედება ქართველი პოეზიის მოყვარულთა და მკითხველთა მკაცრ სამსჯავროზე. ყველგან, სადაც გამოვედით — კახეთის მევენახეთა, დასავლეთ საქართველოს მეციტრუსეთა და მეჩაიეთა, რუსთაველის მეტალურგების, თბილისის სტუდენტების, ქუთაისის ავტომშენებელთა თუ გორის მოსწავლეთა წინაშე, ყოველთვის ვგრძნობდით მეგობრულ ყურადღებას და აუდიტორიის სიკეთით სავსე გულს.

ავადმყოფობამ, აჭერად მომისპო ბედნიერი შესაძლებლობა კიდევ ერთხელ შეეხვედროდი მშვენიერ ქართველ ლექსის მოყვარულს, ჩვენს კოლეგებს—ქართველ, აფხაზ, სამხრეთ ოსეთის პოეტებს, მაგრამ მჯერა და ეს მანუგეშებს, რომ მეგობრების გულის სითბო, რომელიც მიგეგებება საქართველოს სტუმრებს, მოსკოვამდე მოაღწევს.

დიდი მოვლენა

ვარდგეს კეტროსიანი.

სომხეთის მწერალთა კავშირის პირველი მდივანი.

გულითადად გილოცავთ დიდ მოვლენას თქვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში — საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეებს.

დაე ლიტერატურათა ეს დღესასწაული გადაიქცეს დემონსტრაციად ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობისა, რომელიც დღითიდღე მტკიცდება.

ვისურვებდი, საბჭოთა ლიტერატურის დღეების თითოეულ მონაწილეს სამუდამოდ შეენარჩუნებინოს მოძმე ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი გულთბილობა, გულითადობა და სტუმართმოყვარეობა.

ერთად ერთად ვიქნებით

იმრან კასუმოვი.

აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი.

ოქროს შემოდგომა გულუხვად დააბიჯებს მზიური საქართველოს კურთხეულ მიწა-წყალზე. მშრომელები მინდვრისა და ბაღ-ვენახების ბარაქას აბინავებენ და გული სიხარულით ევსებათ. უხარიათ, რომ ქართველ მეჩაიეთა შემდეგ, სამშობლო უხვი მოსავლით გაახარეს მეგენახეებმა. ახლა მოსავლის დღესასწაული დადგა.

ამ დღეებში შრომის დღესასწაულს კიდევ ერთი დღესასწაული დაემატა. იგი დაკავშირებულია საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეებთან. მოძმე საქართველოში ასეთი დღეების გამართვა ტრადიციად იქცა და ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობის მკაფიო განსახიერებაა. ჩვენთვის, მწერლებისათვის სასიხარულოა, რომ ამ ღონისძიებაში ბევრი გამოჩენილი სიტყვის ოსტატი — მწერალი მონაწილეობს, რომლებიც ჩვენი ხალხების მეგობრობასა და ძმობას აღიდებენ.

საბჭოთა ლიტერატურის დღეებში კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენი მწერლების ურთიერთობა და ეს უნდა გავლენას მოახდენს მათ შემოქმედებაზე. რესპუბლიკის მშრომელებთან შეხვედრები, უდავოდ, კიდევ უფრო საზეიმო იქნება, ქართველი მეჩაიეებისა და მეგენახეების, მაღაროელებისა და მეტალურგების, მებოსტნეებისა და მეაღაგეების, მიღწევები აისახება არა მარტო პოეზიაში, არამედ პროზაშიც. საბჭოთა ლიტერატურის ღირებულება ისიც არის, რომ ქართველ სიტყვის ოსტატთა რამდენიმე მშვენიერი ნაწარმოები ითარგმნება ჩვენ ხალხთა ენებზე. აეღერდება რუსულად და უკრაინულად, აზერბაიჯანულად და ბელორუსულად, ყაზახურად და სომხურად, ლატვიურად, უზბეკურად და ყირგიზულად...

ჩვენ ძველთაგანვე კარგად ვიცნობთ ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობას, ვიცით, რომ ჩას უყვარს პოეზია. ამ მიწა-წყალზე ქმნიდნენ თავიანთ მშვენიერ ნაწარმოებებს ნიკოლოზ ბარათაშვილი და გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მრავალნი სხვანი. თანამედროვე ქართული პოეზიის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ი. აბაშიძემ, გრ. აბაშიძემ, ი. ნონეშვილმა, კ. კალაძემ, ხ. ბერულავამ, რ. მარგიანმა, მ. ფოცხიშვილმა და სხვებმა საყოველთაო სიყვარული მოიხვეჭეს არა მარტო ქართველთა შორის. არამედ მოძმე საბჭოთა ხალხებს შორისაც.

აზერბაიჯანელი ხალხი კარგად იცნობს ქართული სიტყვის ოსტატებს, სიყვარულით კითხულობს მათ ნაწარმოებებს. საინტერესოა, რომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ აზერბაიჯანულად მთარგმნელი, აზერბაიჯანული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სოციალისტური შრომის გმირი ს. რუსტამი საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილე იქნება. ეამოჩენილ პოეტს თავის მრავალ ნაწარმოებში არაერთხელ უდიდებია საქართველო და მისი გმირი ხალხი.

ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოდა ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობა. გაფართოდა ავრეთვე ორი რესპუბლიკის მწერალთა მეგობრობა და მათ შორის ჯამოკავლობის გაზიარება. ამას ადასტურებს წიგნები, რომლებიც თარგმნეს ლ. ერაძემ, ვ. ჯანგიძემ, ზ. მეფულაშვილმა, ავრეთვე ნაწარმოებები, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა.

ქართულ ლიტერატურას სულ უფრო ფართო პრეპაგანდას უწევენ აზერბაიჯანელი მწერლები. ამ კეთილშობილურ საქმეში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთარგმნელი დ. ალიევა, რომელმაც ჩინებულად იცის ქართული და მხოლოდ ორიგინალიდან თარგმნის.

საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეები ლენინური ეროვნული პოლიტიკის, კომუნისტური პოეზიის ზეიმად იქცევა, ახალ სტიმულს მისცემს მხატვრული სიტყვის ოსტატთა შემოქმედებას, ხელს შეუწყობს ჩვენი ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას, განამტკიცებს ჩვენი ხალხების ურღვევ მეგობრობას და დარაზმავს მათ საერთო მიზნისათვის — კომუნიზმისათვის საბრძოლველად.

სურათზე: საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი (მარცხნიდან): ნ. დუმბაძე, მ. დუდინი, გ. მდივანი.

ვ. ზარიძის ფოტო.

ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელი ძალა

გიორგი ბერდნიკოვი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი.

საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალური არსისადმი მიძღვნილი საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და სულიერი ურთიერთგამდიდრების ერთ-ერთი გამოხატულებაა.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში, რომელიც ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარების ხელშემწყობ პირობებს ქმნის, წლითიწლობით სულ უფრო საგრძნობი ხდება თითოეული ხალხის წვლილი მრავალეროვნულ საბჭოთა კულტურაში. განვითარებული სოციალიზმის ეპოქამ უფართესი შესაძლებლობანი შეუქმნა სულიერ ღირებულებათა მუდმივ და ნაყოფიერ გაცვლას. თანასწორუფლებიანობისა და პატივისცემის პრინციპი განსაზღვრავს ეროვნულ კულტურათა ურთიერთობის არსს. მათს ურთიერთმოქმედებასთან ერთად მიმდინარეობს ინტერნაციონალურ საფუძველზე მათი დაახლოების პროცესი, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. ურთიერთგავლენის ატმოსფერო, ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურათა მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები ხელს უწყობს მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის აყვავებას.

ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემათა შესწავლა საბჭოთა ლიტერატურული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მისი ერთიანობისა და მრავალფეროვნების, მისი განვითარების კანონზომიერების, ნაციონალური და ინტერნაციონალური დიალექტიკის, სოციალისტურ ერთა მხატვრული კულტურის ჩამოყალიბების სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურისა და მსოფლიოს ხალხთა პროგრესული ხელოვნების განვითარებისათვის საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის გამოცდილების მნიშვნელობის კვლევა — აი თეორიული პრობლემები, რომლებიც უპირველეს პრობლემებად არის წამოყენებული. მათ წარმატებით წყვეტენ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა, ეროვნულ და ავტონომიურ რესპუბლიკათა მეცნიერნი.

ამ დარგში კვლევითი მუშაობის არსებითი ეტაპი გახდა ჩვენი ქვეყნების ხალხთა ეროვნული ლიტერატურების ისტორიების ნარკვევთა სერიის მომზადება. საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ ამ დარგში შეძენილმა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა გაგვეხორციელებინა ფუნდამენტური შრომა „საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის ისტორია“ ექვს ტომად, რომელიც მოამზადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა 37 რესპუბლიკური ინსტიტუტის მეცნიერთა დიდი კოლექტივის მონაწილეობით. ამ შრომაში მოცემულია სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების სოციალისტური ერთიანობის წარმოშობისა და განვითარების მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია.

ამ ბოლო წლების მანძილზე მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა რამდენიმე ნაშრომი, რომელთა იდეურ-თეორიულ შინაარსს განსაზღვრავს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი. ამ ნაშრომთა შორის უნდა დავასახელოთ წიგნები: „ცოცხალი ერთიანობა“ (1974), „ლიტერატურათა ურთიერთმოქმედება და განვითარებული სოციალიზმის მხატვრული კულტურა“ (1977), „საბჭოთა მრავალეროვნული რომანი“ (1978). ლიტერატურათმცოდნეობის გამოკვლევათა ახალი და დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ წამოწყებული გამოკვლევა — „ოქტომბრამდელი პეროდის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების ისტორია“, რომელშიც გაშუქდება რუსეთის დემოკრატიული კულტურის ფორმირების უმნიშვნელოვანესი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები: ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საფუძველზე საერთო-რუსული ლიტერატურული პროცესის წარმოშობის გზები.

თანამედროვე ლიტერატურული პროცესის შესწავლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრეთვე საკავშირო და რეგიონალური კონფერენციები, თათბირები და სიმპოზიუმები, რომლებიც რეგულარულად იმართება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში.

მრავალი წლის მანძილზე მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი ნაყოფიერად თანამშრომლობს ქართველ მეცნიერებთან მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის აქტუალურ პრობლემათა შესწავლის დარგში. გასული წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურული თანამგზრობა“, რომელიც მოაწყვეს მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა. მისი მონაწილეების ყურადღება დაეთმო ლიტერატურული ურთიერთგავლენის პრობლემებს, ახალ ეტაპზე სოციალისტურ ლიტერატურათა დაჩქარებული განვითარებისა და ურთიერთგამდიდრების საკითხებს. ორი ინსტიტუტის თანამშრომლობის შედეგი გახდა „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის“ — იმ წიგნის გამოცემა, რომელიც მკითხველებს აცნობს სულისკვეთებით და შინაარსით ინტერნაციონალისტურ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, რომელსაც მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალური არსის პრობლემისადმი მიძღვნილი საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში ხელს შეუწყობს ეროვნულ მხატვრულ კულტურათა ურთიერთმოქმედების რეალური პროცესების გაღრმავებასა და ამ უმნიშვნელოვანესი პროცესების შემდგომი შესწავლ

სიყვარულს და მეგობრობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთაგონების ფრთები

გრიგოლ აბაშიძე.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

დაიწყო ხალხთა ძმობისა და ლიტერატურათა მეგობრობის შესანიშნავი დღესასწაული — საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში.

მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა ყოველი ხახი აღიარებულია ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის მხატვრულ მატიანედ, იგი ძუდან ცხოვრების შეაგულში დგას და ხალხის, სამშობლოსა და პარტიის ერთგული სამსახურით აღსავს წარმატებებს.

ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხებს გმირული შრომა მუდამ იყო საბჭოთა ლიტერატურის შთაგონება, მაგრამ სწორედ ჩვენს დღეებში იქცა იგი საბჭოთა მწერლობის მთავარ თემად, როცა ლიტერატურამ თავის უპირველეს მოწოდებად დასახა იმ ადამიანების სულიერი სილამაზის მხატვრულად ჩვენება, ვინც კომუნიზმის ხარაჩოებზე, ჩუთწლედის მშენებლობებზე გმირული შრომით ასხამს ხარცს პარტიის წინასწარმეტყველებას.

საბჭოთა მწერლობა ეძებს მკითხველებთან ცოცხალი ურთიერთობის ახალ ფორმებს, უშუალო კონტაქტის ეფექტიან ფორმებს იმ ადამიანებთან, რომელთა შრომისა და ცხოვრების მაგალითი იმსახურებს სამუდამოდ აღიბეჭდონ ჩვენი ხალხის ფიქრსა და ხსოვნაში.

ამ მიზნით საბჭოთა მწერლების დიდ-დიდ ჯგუფები მიემგზავრებიან უდიდესი მშენებლობების ობიექტებზე — ბამსა და ვოლგის სავაჭრობილო ქარხნების მშენებლობებზე, დასავლეთ ციმბირის ნავთობის გიგანტურ სარეწებზე, უზბეკეთის ბამბის პლანტაციებში, ყაზახეთის ყამირის თოვლისებულ მიდიერებში.

ისინი სწავლობენ შრომის გმირების ცხოვრებას, ახლოს ეცნობიან მათ, ვისი ვაჟკაცური გარჯა და შემართება თავიანთ წიგნებში უნდა უკვდავყონ.

ასეთივე კეთილშობილი მიზნით იერიბება ამ დღეებში საქართველოში ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალეროვანი ლიტერატურის საუკეთესო ნაწილი, ისინი, ვინც საბჭოთა ხალხების სხვადასხვა ენებზე ქმნიან სულით ერთ, მთლიან მწერლობას—დიდ საბჭოთა მწერლობას.

სწორედ კარგ დროს უხდებათ ჩვენს სტუმრებს შეხვედრა რუსეთბერეკის მშრომელებთან. ეს შემოდგომა ბარაქიანი აღმოჩნდა, ქართველმა მეჩაიეებმა და მევენახეებმა არნახული სიძნელეების გადალახვით შეძლეს რეკორდული მოსავლის მიღება. ავერ ხუთ წელზე მეტია, რაც შრომითი

სურათზე: საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი (მარცხნიდან): მ. ფოცხიშვილი, ლ. ნოვიჩენკო, შ. ნიაზი, კ. კალაძე, გ. ხოლოპოვი და ხ. ჭილაია სასტუმრო „ივერიასთან".

ვ. ზარიძის ფოტო.

უსაზღვროდ გავიხარეშ

ლადო გუდიაშვილი,

ხსრ კავშირის ხახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

კიდევ ერთხელ გვესტუმრნენ ძვირფასი მეგობრები. კიდევ ერთხელ გავფლენთ გულის კარს ჩვენს ძმებს, მხატვრული სიტყვის ოსტატებს, რომელთა ნაწარმოებები მილიონობით მკითხველს აღაფრთოვანებს.

სტუმართა შორის ბევრია ისეთი, რომლებთანაც ბირადი მეგობრობა მაკავშირებს, სახლოსნოშიც მწვევიან, გვისაუბრია მწერლობაზე, მხატვრობაზე, გვიკამათია ახალი ნაწარმოებების ირგვლივ. და თუ კვლავაც მეწვევიან, მე უსაზღვროდ გავიხარებ მათი სტუმრობით. რაღვან განუყოფელია მწერლისა და მხატვრის ხელოვნება.

კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა!

ირაკლი აბაშიძე,

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, პოეტი-აკადემიკოსი.

სულითა და გულით მივესალმები ახლა საქართველოს ძიწაზე ჩემს ეროვნას ველსა და ახალ მეგობრებს, ჩვენს ეროვნას სტუმრებს, რუსი და მოძმე ხალხების სახელოვან შვილებს, მხატვრულ სიტყვის ოსტატებს.

საბჭოთა ლიტერატურის დღეები ჩვენს დიად სამშობლოში უკვე დიდი ხანია ტრადიციად იქცა. ბევრ ჩვენგანს. სხვადასხვა დროს, სიამოვნებით მიუღია მონაწილეობა ამ მშვენიერი დღეების ჩატარებაში. ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მიწაზე და ყოველთვის ერთი დასკვნით, ერთი რწმენით გამსჭვალულა: ეს ტრადიცია არა მარტო კიდევ უფრო აამაღლებს მწერლის, შემოქმედის გულს, არამედ, აგრეთვე, სულ უფრო მეტად ამდიდრებს მისი მკითხველის, ჩვენი ხალხის გულსა და გონებას. სულ უფრო მეტად უწყობს ხელს ჩვენი ხალხების ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრებას.

საქართველო პირველად როდი ხვდება საბჭოთა მწერლებს თავის მიწაზე და ჩვენ ისიც ვიცით, რა კეთილი ნაყოფით დამშვენებული შემდეგ ეს შეხვედრები.

კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ისევ ერთად ვართ!

ჩვენი საერთო დღესასწაული

იოსებ ნონეშვილი.

— სტუმარი ღვთისაა, უთქვამთ ოდითგან ქართველ კაცს. ამ სიტყვებმა განსაკუთრებული ძალა შეიძინა ახლა. ჩვენს დღეებში.

დღეს ამ სიტყვებით ვხვდებიან ქართველი მწერლებიც ჩვენი ხალვის საპატიო სტუმრებს, ჩვენს კოლეგებს საბჭოთის ყველა რესპუბლიკიდან და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებიდან.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მათს შემოქმედებას, მათ ალალ სიტყვას. ამიტომაც ასე ჯულალალად ვეგებებით საქართველოში ძმობის, მეგობრობის, მშვიდობის დღესასწაულის მონაწილეებს.

რამდენი რამ გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი, მაღლიერების რამდენი სიტყვა გვმართებს ბევრი მათგანისადმი, რამეთუ მათი მშვენიერი თარგმანებით სახელი გაითქვა ქართულმა ლიტერატურამ.

კონსტანტინე სიმონოვი, ბელა ახმადულინა, რიმა კაზაკოვა, მიხეილ დუდინი, იური სუროვცევი, ალექსანდრე მეფეროვი, სულეიმან რუსტამი, პიმენ პანჩენკო, სილვა კაპუტიკიანი, ივან დრაჩი... რომელი ერთი ჩამოვთვალო... რომელ მათგანს არ იცნობს ჩვენი ხალხი. ჩვენი მკითხველი, როგორც შემოქმედს, როგორც ქართველი ხალხის ჭეშმარიტ მეგობარს, მთარგმნელსა და პროპაგანდისტს ქართული მხატვრული სიტყვისას.

ქართული ლიტერატურის საბჭოელ მეგობრებთან ერთად გვესტუმრა მრავალი ცნობილი უცხოელი შემოქმედი. ბევრი მათგანის თარგანებითაც ეცნობენ ჩვენს ლიტერატურას საზღვარგარეთ. გიორგი რადო — ლაიოშ ტარდისთან ერთად ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის უნარულ ენაზე მთარგნელი. ავტორი საქართველოს შესახებ მშვენიერი წიგნისა.

ჩვენს სტუმართა შორის არის აგრეთვე ცნობილი რუმინელი მწერალი მირჩა იაკუბანო. იგი ქალაქ იასში ცხოვრობს, იმ ქალაქში, სადაც დაკრძალულია ჩვენი ბესიკი. მან გასულ წელს ქართველ მეგობრებს ნოპათად ჩამოგვიტანა რუმინულად თარგმნილი და ქალაქ იასში გამოცემული ბესიკის ლექსთა კრებული.

ბერძენ მწერალსა და გამომცემელს კოსტას ვალეტასს წელს ჯერ საბერძნეთში და შემდეგ იეროსლავიის ქალაქ სტრუკაში პოეზიის ფესტივალზე შეხვდი. ვოცნებობ, ვნახოთ საქართველო — ჩემი წინაპრები კოლხეთს რომ ეძახდნენ, მინდა ვთარგმნო და საბერძნეთში გამოვცეო ქართული პოეზიის ანთოლოგია. ბერძნები ნაღდი ხალხია და ალბათ დაპირებას შეასრულებენ.

ხვალ ჩვენს დღესასწაულს შემოუერთდება დდი ამერიკელი მწერალი ვილიამ სარიანი.

სასიხარულოა, რომ დიდ სტუმრიანობას ბარაქიანი შემოდგომა შეადგენეთ.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში მხატვრული სიტყვის ოსტატები მეხვდებიან საკოლმეურნეო დოლათის ოსტატებს და ალბათ დარწმუნდებიან, რა დიდი გარჯის ფასად დასავდა შემოდგომის ეს უხვი მოსავალი.

საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში ქართული ლექსის ტრადიციულ ზეიმს, რუსთაველის დღეს — პოეზიის დღეს დაემთხვა. სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ მესხეთში სოფელ რუსთავში და კახეთში — იყალთოში გამართული შოთაობის დღესასწაულში.

ძმობისა და მეგობრობის დიდი ზეიმია საქართველოში და ამ ზეიმის უპირველესი მასპინძელი უკვდავი რუსთაველი გახლავთ, რომლის სიტყვები გულს გვეწარიან: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

მასპინძელია მთელი საქართველო

დიდად გვესაუბრებს

ჩვენი ქარხნის კოლექტივი თითქმის ახალგაზრდულია. აქ შრომათან ერთად კულტურული დასვენებაც და გართობაც ეყვართ. დღევანდელ ჩვენს ძვირფას სტუმართა შორის ბევრია ისეთი, რომელთა ნაწარმოებებს სიამოვნებით კითხულობთ, გაყურებთ მათს საკარო განხილვებს.

როგორც გავიგეთ, საბჭოთა ლიტერატურის დღეებში მწერალთა ერთი ჯგუფი ჩვენს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებასაც ეწვევა. ამაზე სასიხარულო რა უნდა იყოს! ჩვენ პირადაპირ შეგვხვდებით კალმის ოსტატებს, რომელთა წიგნებს კითხულობ ზოგჯერ თავზეც კი დგავთ ხებია.

ჩვენი ახალგაზრდების, კოლეგიშრელების სახელით მივესალმები ამ დიდნიშვნელოვან დღეებს, ძვირფას სტუმრებს საბჭოთის ყველა კუთხიდან.

ნ. ჭემოკლიძე,

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის მოწინავე ელექტრომონტაჟე.

ბ. თბილისი.

გელით აფხაზეთში

აფხაზეთის მშრომელები, მთელი ხაზოგადოებრიობა დიდი ინტერესითა და სიამაყის გრძნობით მოელის საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეების, გამოჩენილი საბჭოთა მწერლების ჩამოსვლას.

ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის შრომისმოყვარე ხალხი ხელგაშლილი როდი ხვდება ძვირფას სტუმრებს. ისინი სასახელო მაჩვენებლებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სახელოვან დღესასწაულს. ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებს არნახული წარმატებები აქვთ მოპოვებული. განსაკუთრებით საამაყოა აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ტრიუმფი, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიეცა დასაბამი.

ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც კარგად იცნობენ ამ პატარა ერის წარმომადგენლები, შემოქმედნის.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უსახელეთით თავი ჩვენს მოცეკვავეებსა და მომღერლებს, აფხაზურ ლიტერატურას კითხულობენ ქართველი, რუსი, უკრაინელი თუ ბელორუსი მშრომელები.

როგორც მთელი საქართველოს, ისე მისი განუყოფელი ნაწილის აფხაზეთის კულტურულ, საზოგადოებრივ, ლიტერატურულ მოვლენად ექცა ზეიმი, რომელიც მიეძღვნება საბჭოთა ლიტერატურის დღეებს საქართველოში, ეს დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის ურღვევი, ინტერნაციონალური ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცებას მეათე ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის დადგენათა პირნათლად განადგურებისათვის ბრძოლაში მშრომელთა ენთუზიაზმის ამაღლებას.

ამ დიდ საერთო საქმეში კი ჩვენი ქარხნის კოლექტივსაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს. გადაჭარბებით შევსებულეთ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ცხრა თვის დავალებები. ასევე წარმატებით შესრულდება საოჯახმბრო სოციალისტური ვალდებულებებიც.

გელით აფხაზეთში, ძვირფასო მეგობრებო!

ალა ვარდანია,

გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის მუშა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ქ. სოხუმი.

მოგზრძანდით!

რამდენი თბილი სიტყვა შთაგონებია აკაკის განუმეორებელ ბუნებას კალმის ოსტატებისათვის. ბათუმში ხანმოკლე სტუმრობის დროს მრავალი ლექსი დაუწერია სერგეი ესენინს, აკაკურობის ნახვამ ბევრი რამ შთაგონა კონსტანტინე პაუსტოვსკის.

აკაკას უმღერიდნენ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი და სხვები.

ცნობამ იმის შესახებ, რომ საქართველოში ეწყობა საბჭოთა ლიტერატურის დღეები და ჩვენი ქვეყნის გამორჩენილი პოეტები და პროზაიკოსები აკაკასაც ეწვევიან, რა თქმა უნდა, სიხარული გამოიწვია, რადგან აქ უყვართ მათი შესანიშნავი შემოქმედება.

მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო. აკაკა სტუმართმოყვარულად გელოდებთ კარს.

ვლ. დოლიძე,

მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა, საქართველოს ხსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ქ. ბათუმი.

ახალი შეხვედრა

გუშინდელ დღესავით მახსოვს და არც არასოდეს დამავიწყდება 1975 წლის ივნისის ის დღეები, როცა საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი ქუთაისს ესტუმრნენ. კალმის სახელოვან ოსტატებთან შეხვედრამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. სტუმართა შორის იყვნენ გამორჩენილი მწერლები და პოეტები კ. სიმონოვი, ე. დოლმატოვსკი, ვ. ბოკოვი, ა. ბარტო, ბ. ახმადულინა, ვ. კოროტიჩი და სხვები. მათთან შეხვედრებმა ხელი შეგვიწყვეს წარმატებით შეგვისრულებინა მეცხრე ხუთწლედის დავალებანი და პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულებს დაგვეწყო ახალი, რიგით მეათე — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის მიჯნების დალაშქვრა. ახალი ხუთწლედის სასეგარზე მეტი უკვე განვლეთ. ჩვენს ყოფა-ცხოვრებასა და შემოქმედებით სქმიანობაში ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა. უკვე ერთ წელზე მეტია, რაც მოქმედებს ახალი საბჭოთა კონსტიტუცია. ამიტომ, ბუნებრივია, სულმოუთქმელად მოველოთ ძვირფას სტუმრებს, რომლებსაც ჯულითადად გაახარებთ ჩვენი მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ჩვენს დიდი ინტერესით მოვუსმენთ მათ, რადგან ვიცით, რომ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ლიტერატურა ხალხს, მშრომელთა კეთილდღეობასა და მათ ინტერესებს ემსახურება.

შემოდგომის ფერისცვალება ეგრძნობა ქუთაისში, მაგრამ ჩვენი ქალაქი, რომელსაც დიდმა აკაკიმ სავარდო და სამაისო უწოდა, ყველაფერს არ მოაკლებს ძვირფას სტუმრებს და გაზაფხულის დარად უმასპინძლებს.

ი. ბუაჩიძე,

აბრეშუმის ხაწარმოო გაერთიანების მეთაური ხაწარმოს ქვეოსტატი, ხსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ქ. ქუთაისი.

ბარაქიანი ყოფილიყოს...

ბარაქიან შემოდგომას მაგონებს საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში, რადგან შემოდგომაც და ლიტერატურაც ადამიანის მასაზრდოებელია, მისი მაცოცხლებელია.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინსვლა და აყვავება წარმოუდგენელია საბჭოთა ლიტერატურის, იმ წიგნიერი ხალხის გარეშე, რომელმაც უკვე ათეული განვითარებული სოციალიზმის ქვეყანა, და რომელიც ახალ-ახალ სასწაულებს ახდენს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

მტკიცება არ უნდა იმას, რომ როგორი ლიტერატურითაც საზრდოობენ ადამიანები, ისეთია იმ ადამიანთა მიერ შექმნილი საზოგადოება, და მე ვამაყობ საბჭოთა ლიტერატურით, ვამაყობ იმიტომაც, რომ მან შექმნა მსოფლიოში ყველაზე მაღალ-განვითარებული, ყველაზე გონიერი საზოგადოება.

წლევანდელმა შემოდგომამ ბარაქა და ხვავი მოუტანა ჩვენს ქვეყანას. განსაკუთრებით უხვად დაიბერტყა კალთა კახეთის ვენახებში. უხვი იყო იგი თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლეეურნეობა „მეგობრობის" მშრომელებისთვისაც, რომლებმაც ვენახების მოსავლიანი ფერთობის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 120 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს.

კახური რთველივით ზარზეიმით მობრძანდა საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში და მე მჯერა, რომ ეს დღეებიც ისეთივე უხვმოსავლიანი და ბარაქიანი იქნება, როგორიც დიდი რთველი იყო.

გ. შავაძე,

სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „მეგობრობის" მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი.

თელავის რაიონი.

ედუარდას მეუელაიტისი

ლიტვა

ია ბაბაქა

... აქვს ხაფიცარი იტაკა
ყველას...
თუ ხარ მდიდარი, აი რითა
ხარ:
შენს გულში ბუდობს იმედის
ხელ>
ის ერთადერთი კუთხე —
იტაკა.

რამდენ სითბოს და
სინათლეს იტევს
თუნდაც უბრალო ყვავილი
მამლის!
დგახარ, ამურებ შეცივნულ
ჩიტებს
აცრემლებული მამულის
კვამლით.

... ყველას თავისი აქვს
ხაფიცარი
იტაკა.
აბა, გამოჩნდა ხახლიც.
მშობლიურია — უმალ
იცანი!
და გული გიჩუქს გზებისგან
დაღლილს.

შენი ნაბიჯის ეკოა თითქოს
ღელის ხიმღერა. და ისე
ლელავ,
სპეტაკ ცრემლებად იღვრება
სითბო...
... აქვს ხაფიცარი იტაკა
ყველას.

თარგმანი ლიტვურიდან
ხუბა ბაბუსი.

რიმა კაზაკოვა

ქ. მოსკოვი

ვიდრე...

ვიდრე არ ეტყუოთ მკაცრად
და არც უხეშად ვგოდებთ,
ის უნდა ვიყოთ, რაც ვართ,
ერთმანეთისთვის მოკვდეთ!

ვიდრე ოცნებად გვრჩება
კვლავაც ოცნება, ვოელიდეთ
ერთურთს ერთურთის
ფრთებად, —
ერთმანეთისთვის ვიდგეთ!

ვიდრე თვალებს თაფლი
თაფლად ეღვრება
მინდვრებს
და უდვთისმშობლოდ არ
ღირს
ჩვენი ცხოვრება ვიდრე.

ვიდრე ხიდებზლის ზარი
რეკს და მაღლს ვთესავთ
ვიდრე,
და ვიდრე რალაც ძალგვიძს
უერთმანეთოდ კიდევ!

სერგი დავიდოვი

ქ. ლენინგრადი

მეგობრობა

ვოლგისპირეთის ალმური
მლაბვრავს,
ვაი, ამ წუთებს სულში რომ
ვთესეთ,
შეფნერი ხალხში
კითხულობს ახლაც
ომში დალუპულ მეგობრის
ლექსებს.

ჩემს გულში ჩნდება
პირველი შურა,
რა მეგობრობა ჭკონიათ
თურმე, —
ორივე ერთად ებრძვიან
გულით
გულზე მოწოლილ კაეშან-
ღრუბლებს.

მე კი ვერახდრის გიხილავ,
ალბათ
ბლოკადის წლებში
დაცემულ მხედარს, —
მიჰფანტ-მოჰფანტა
დროფამს ჭარმა
შენი ძლიერი ხმა, როგორც
ხევდა.

ხხვა დრო იყო და სხვა
ჭარი ჭროდა,
ვაი, გარბიან დღეები
თრთოლვით, —
მოდაიყოლეს გაუდის
მოდა,
ყრმა ბუცდება და ერევა
თოვლი.

შეხედეთ ერთი, ზამთარი
ფეთრი
წუხელ ჩამოყრილ
ფოთლებზე დარდობს,
თუმც სიყვარული —
ფარფატა გედი
ჯერ კიდევ ტოკავს
ფოფქებში ამ დროს.

გზა ხიბერიხკენ გზა არის
მაინც,
რა გველოს ჯიცით,
მივდივართ ისევ,
ალრე თუ გვიან დაცაგვლეწს
ფამი,
კიდეც დაგვფანტავს
გზადაგზა ნისლები.

მაგრამ ვერავინ ვერ
გაგვერის ვატყობ,
ჩვენ ერთად განვვლეთ
ხაზარი წლები, —
ჩვენც ვკვდებით, მაგრამ
ვინც რჩება, ამბობს,
რომ ერთმანეთის მაგივრად
ვრჩებით!

თარგმანი
მორის ფოცხიშვილისა.

მეგობრობა, სიყვარული...

გიორგი ნატროშვილი.

ბატარა წერილი, რომლითაც მინდა მოგესალმოთ თქვენ, ძვირფასო სტუმრებო, დიდი საბჭოთა ლიტერატურის ოსტატებო, ჩვენო სიყვარულო ძმებო და თანამოკალმენო, ნინდა დავიწყო იმის აღნიშვნით, რომ ჩვენცა და თქვენც ძლიერ ბევრს მოველოთ ახლანდელი შეხვედრისაგან. საბჭოთა ლიტერატურის ისტორია — ბოლოს და ბოლოს, ამ ძმური შეხვედრების და თანამეგობრობის მატიანეც არის. და ეს მატიანე ცოცხალი მაგალითებით დასტურებს, თუ რა უზარმაზარი როლი შეასრულა განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე ამგვარმა შეხვედრებმა, როგორ გაძღიდნენ მათ როგორც ქართული, ისე რუსული და საერთოდ ყველა მოძმე ლიტერატურა. ეს შეხვედრები, ეს წმინდა სიყვარულით აღსავსე ურთიერთსტუმრობანი რომ არა, არ დაიწერებოდა ნიკოლოზ ტიხონოვის „ქართული გაზაფხული", არ დაიწერებოდა მისი „წინანდალი", „ალაზანერობა", „სიღნაღის კოშკები", „ბეღაზნის მთაზე", — ეს ნამდვილი შედევრები საბჭოთა პოეზიისა; აქვე უნდა გაეხსენოთ ტიხონოვის მშვენიერი მოთხრობები — „წყნეთის საღამოები" და „ალ-ყაღრის ღამე". ბატარეელ ამ მოთხრობათაგან კოლორიტული ფერებით გვიხატავს დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ხოლო მეორე—„ალ-ყაღრის ღამე" მოგვითხრობს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს გიორგი წერეთლის მოგზაურობაზე არაბეთის ქვეყნებში, კერძოდ, ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში. ტიხონოვის კალამმა ცოცხლად დაგვიყენა თვალწინ ამ დაუვიწყარი ადამიანის სახე. სხვათა შორის, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ის მძაფრი პროტესტი მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ, რომლითაც გამსჭვალულია ეს მოთხრობა, ახალი ძალით აყღერდა დღეს, როცა ლიბანის დედაქალაქის ქუჩებში, მშვიდობის მტრების ორნების წყალობით, კვლავ ისმის ტყვიამფრქვევების გაუთავებელი სროლის ხმა და ქვაფენილები უდანაშაულო ადამიანთა სისხლით ირწყ�eba.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს მთავარ სათქმელს. ეს შეხვედრები რომ არა, არ დაიწერებოდა ბორის პასტერნაკის გენიალური „გეთსიმანი" და ბელა ახმადულინას გულმდე ჩამწვდენი, ნაზი და ნაღვლიანი „სიზმრები ქართველოზე"; აქვე გაიხსენეთ ნ. ზაბოლოცკის, პ. ანტოკოლსკის, ალ. მეკიროვის, მიხ. დუდინის, არ. ტარკოვსკის, ე. ევტუშენკოს, მიხ. ლუკონინის, ელ. ნიკოლაევსკაიას, ევ. ვინოკუროვის, ვლ. ლეონოვიჩის და სხვათა პოეტური ქმნილებები საქართველოზე. აქ წარმოდგენილი სახელებით როდი ამოიწურება ყველაფერი, ეს ძალზე არასრული სია. ახლა გაიხსენეთ უკრაინული, ბელორუსული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა მოძმე ხალხების პოეტთა ნაწარმოებები, რომლებიც გამობარია საქართველოს სიყვარულით, ამას დაუმატეთ ქართველი პოეტების ლექსები, რომლებიც იწერებოდა მთელი ამ განვლილი ათეული წლების მანძილზე და რომლებიც უდღეროდა ხალხთა ძმობას...

ეს „შეხვედრები რომ არა, არ ითარგმნებოდა მოძმე ხალხთა ენებზე რუსთაველი და გურამიშვილი, ბაოთაშვილი და ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტების ნაწარმოებები. ახლა წარმოიდგინეთ რამდენა ლიტერატურაა ეს! ეს მთელი ტომებია, რომელთაც თარეული ვერ დაიტევენ, ეს არის უდიდესი სულიერი საგანძური და საუნჯე, რომლითაც ამაყობს როგორც ქართული, ისე რუსული ლიტერატურა, ამაყობს მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყანა.

აი რას ნიშნავს, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, და რა ფასი სძევს ჩვენს ახლანდელ შეხვედრას.

კიდევ ერთი რამ: საბჭოთა ლიტერატურის ამ ძვირფას ტრადიციას, ამ მეგობრულ შეხვედრებს თავისი ძალიან საინტერესო ისტორია აქვს, ჯერ ისევ რევოლუციამდელი ისტორია და ამ ისტორიის საათავები დგას ალექსანდრე პუშკინი, რომელმაც ჯარგად იცოდა და თავის ლექსში, „ძეგლში" თქვა კიდეც, რომ ყველა ხალხები ძმები არიან. მისი თქმა-ვარი თემა, რა თქმა უნდა, რუსეთი იყო, მისი ისტორია მიაღი აწყო, მაგრამ პოეტი, იმავე დროს, ღრმა სიყვარულით წერდა უკრაინელებსა და ქართველებზე, ჩერქეზებსა და ბაშკირებზე, ბოშებსა და მოლდაველებზე, პოლონელებსა და ფინელებზე. დიდ რუს-პოეტს მთელი გულით, მთელი გატაცებით უყვარდა საქართველო. ამას ადასტურებენ მისი უმშვენიერესი ლექსები „საქართველოს მთებზე", „არა, ლამაზო, ნუ გამაგონებ", „მონასტერი მყინვარზე", ნარკვევი „ეზეროუმში გამგზავრება" და მრავალი სხვა ნაწარმოები; პუშკინი სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენს სულში როგორც ხალხთა ძმობის დიდი მოციქული, თავისუფლების უკვდავი პოეტი. რუსთაველთან, ნიზამისა და შეეჩენკოსთან ერთად პუშკინი მუდამ იქნება გზის მაჩვენებელი საბჭოთა პოეტების ახალი თაობებისათვის, რომლებიც უმღერიან ადამიანობის ახალ ისტორიას, პუშკინმა რომ წინასწარ განჭვრიტა და მისნური თვალით წინასწარ დაინახა.

პუშკინის კვალზე წავიდა ლერმონტოვი და მთელი მომდევნო ეპოქების რუსული პოეზია; საერთოდ, რუსულმა პოეზიამ არა ერთი მგზნებარე ჰიმნი უძღვნა ქართველი ერის ადამიანურ ბრალეულ ქველობას, ქართველი ქალის სილამაზეს, საქართველოს თვალწარმტაც ლანდშაფტებს, საქართველოსთან სულის ინტიმური ძაფებით იყვნენ დაკავშირებული რეალისტიკის ეპოქის დიდი მესტყვენი — სერგეი ესენინი და ვლადიმერ მაიაკოვსკი. მოძმე ლიტერატურათა განვითარების ამ განუწყვეტელი პროცესის შესახებ რომ ლაპარაკობდა, ნ. ტიხონოვი აღნიშნავდა: „ქართული საბჭოთა ლიტერატურა, მთელი საბჭოთა კავშირის ლიტერატურასთან ერთად, ვითარდება ერთი მთლიანი პროცესის, მთლიანი მდინარების სახით. ქართული მწერლობა, კერძოდ, პოეზია დიდი ძალაა. მე თვითონ პოეტი ვარ და შეძიძლია გითხრათ, რომ ქართული პოეზია თავის მხრივ გავლენას ახდენდა რუსულ საბჭოთა პოეზიაზე, შესაძლებელია სხვა ერის პოეზიაზეც. ეს ბუნებრივია, რადგან ჩვენ ერთმეორისაგან ვსწავლობთ და ერთი საერთო ცხოვრებით ვცხოვრობთ".

კარგად მოგეხსენებათ, პოეტი თავისი ხალხის, თავისი ერის განსახიერებაა, აქ ერთი კაცის არსებაში, მის სულში, მის ქმნილებებში თავს იყრის ერის ისტორიაც, აწმყოც, ბუნების სილამაზეც, ყველაფერი ის, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ განსაზღვრავს ეროვნულ სახესა და ხასიათს; ამოდ კი არ იმოწმებენ ხოლმე დიდი გოეთეს ნათქვამს — „თუ პოეტის შემოქმედების შესწავლა გიდა, მის სამშობლოში უნდა წახვიდეთ".

იმავე დროს, პუშკინი პოეტის შემოქმედება ინტერნაციონალური; პოეტი აქ მთელი კაცობრობის წარმომადგენელია, უამისოდ იგი არავის არ დაანტერესებს თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეს შესანიშნავი შერწყმა ეროვნულისა და ინტერნაციონალურისა მთელი თავისი სიდიადით გამოჩნდა დღეს — განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, როცა ესოდენ თვალსაჩინო გახდა ქართული კულტურის ახალი რენესანსი და ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება გავიდნენ მსოფლიო ასპარეზზე.

აი რა ფიქრებს აღუძრავს ადამიანს ჩვენი დღევანდელი კეთილი შეხვედრა, ძველი მეგობრებისა და თანამოკალმეებისა, შეხვედრა ჩვენს ძველ ქართულ მიწაზე.

მასპინძელია მთელი საქართველო

თქვენი სიტყვა გვჭირდება

თითოეულ შრომითს კოლექტივში სიტყვის ოსტატის ყოველ გამოჩენას, მასთან შეხვედრასა და საუბარს მუდამ თან ახლავს სასიამოვნო მღელვარება. პოეზია საღამოები ხომ ჭეშმარიტ ზეიმად გადაიქცევა ხოლმე და ალა მარტო კარგ გუნებაზე გვაყენებს და ლექსის სიბრძნესა და შომხიბვლელობას გვაბიარებს, არამედ ნაყოფიერი შრომის სტიმულაც იძლევა.

საბჭოთა ლიტერატურის დღეებმა, როცა მაოტო ქართველი ან ერთი ოთოელიმე მოძმე რესპუბლიკის პოეტები და მწერლები კი არა, არამედ მრავალეროვან და მრავალენოვან მეგობრებთა დიდი ინტერნაციონალური ოჯახის თითქმის ყველა წარმომადგენელი გვეწვევა, წინასწარ ვგრძნობთ, რომ დაუვიწყარი იქნება ეს შეხვედრები.

მხურვალედ მივესალმები მოძმე ლიტერატურის თვალსაჩინო წარმოგზავნილებს, თავისი ერის სიტყვის მედროშეებს ქართულ მიწაზე.

მეტალურგები და მთელი ჩვენი ინდუსტრიული ქალაქი მზად გართ თქვენს შესახვედრად, ძვირფასო სტუმრებო!

ო. ლომიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ღია გულით

თითოეული ადამიანის ღირსება, უწინარეს ყოვლისა, მისი შრომითი საქმიანობით ფასდება. როდესაც სასიხარულოა, რომ მეჩაიეები წელსაც აღმოჩნდნენ საათანადო სიძალეზე და ამინდის დიდი ჭირვეულობის მიუხედავად, ვადამდე უპატაკეს სამშობლოს დიდი გამარჯვება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობაა გაშლილი მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისათვის. ეს ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის პლენუმზე: „პარტიის მუდმივი ყურადღების საგანია არა მარტო წარმოება, არამედ ადამიანთა ურთიერთობა, მათი ყოფა-ცხოვრება, კულტურა, ფსიქოლოგია, შეგნება“.

საბჭოთა ლიტერატურის დღეები, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში, მათ შორის ჩვენს რაიონშიც მოეწყობა, პარტიის ამ ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურება იქნება. ლიტერატურა აუცილებელია ხალხისათვის. მხატვრულ ნაწარმოებთა ალმზრდელობითი როლი მეტად დიდია და მომავალშიც ასე იქნება. არ არის ცოტად თუ მეტად განათლებული ადამიანი, რომ მხატვრული სიტყვის მომხიბვლელობა არ განეცადოს.

ჩვენთვის დიდი პატივია მხატვრული სიტყვის ოსტატთა პირისპირ გაცნობა, შეხვედრები და საქმიანი საუბრები. ყოველივე ეს ჩვენ ახალი, უფრო დიდი საქმეებისათვის განგაფუწყობს.

ც. ნოდია,
ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლოფის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორი მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

„ცისკრის“ წვლილი

საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში დიდი მოვლენაა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთელი ჩვენი დიდი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ასეთი დღეები უბრალო საზეიმო შეკრება როდია. საუბრები, დიალოგები, „მრგვალი მაგიდები“ ავლენს ლიტერატურის დღეების ნამდვილ არსს, უფრო ნათელსა და კონკრეტულ ხდის იმ პროცესებს, ჩვენს მრავალეროვან ლიტერატურაში რომ მიმდინარეობს.

ჩვეულებრივ, შედარებით მოგვიანებით ვიგებთ ხოლმე იმ სიახლეებს, მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურაში რომ ხდება. ვინაიდან ნაწარმოების მშობლიურ ენაზე გამოქვეყნების შემდეგ საკავშირო მკითხველამდე აირის მინიმუმ ორწლიანი გზა, იგი მიუწვდომელი ხდება ჩვენთვის, სანამ არ ითარგმნება და გამოიცემა რუსულად. ასეთი შეხვედრები ხელს გვიწყობს სწორი სურათი შეგვიქმნას ყველა ლიტერატურულ სიახლეზე, ორიენტაცია ავიღოთ ღირსეული ნაწარმოებების თარგმანზე და, საერთოდ, სწორად და ღრმად შეავფასოთ დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების თვისებურებანი.

ჟურნალი „ცისკარი“ ყოველთვის დიდ ადგილს უთმობდა და ახლაც უთმობს მოძმე საბჭოთა ერების ლიტერატურულ ცხოვრებას. შეგოვიღეთ რუბრიკა „მეგობრობის მეიდიანები“. საბჭოთა ლიტერატურის დღეებისათვის მზადება წლის დამდეგიდანვე დავიწყეთ. გამოვაქვეყნეთ ბელა ახმადულინაა, რობერტ როჟდესტვენსკის, მიკოლა ვინგრანოვსკის ლექსები, ვოქტორ ლიხონოსოვის ვრცელი მოთხრობა „რადაც უნდა მოხდეს“, კრიტიკოს გენრიხ მიტინის წერილი „ჰეკ

-ოდის ეპოქა“, რომელიც ქართულიდან რუსულად თარგმნის საკითხებს ეძღვნება, ეგგენი ეგტუშენკოს ლექსები საქართველოზე, ფესტანიშვილი სომეხი მწერლის ვარდგეს პეტროსიანის მოთხრობების ციკლი „სომხური ესკიზები“ ჟურნალის მეთორმეტე ნომერში გამოვაქვეყნეთ. აზერბაიჯანელი პოეტების თ. ბაბრამის, ფ. ...ზელის, ნ. ხასრის, ხ. ...ლესებს საქართველოზე.

ამ გაზაფხულზე „ცისკარმა“ ლიტვის ახალგაზრდულ ჟურნალ „ნიამუნასთან“ ერთად ვილნიუსი და კაუნასში მოაწყო „მრგვალი მაგიდა“ თანამედროვე ლიტვური და ქართული ახალგაზრდული მწერლობის საკითხებზე. ამ საბიოდ კვირის წინ „მრგვალმა მაგიდამ“ მუშაობა განაახლა თბილისში. ამჯერად „ცისკარს“ ეწვია ლიტველ მწერალთა ჯგუფი ლიტვის მწერალთა კავშირის მდივნის პეტრას ბრაჟენასის მეთაურობით. ეს იყო საქმიანი საუბარი ლიტერატურის საკითხებზე, ორი მოძმე რესპუბლიკის ლიტერატურების ურთიერთკავშირზე.

ჟურნალი „ცისკარი“ საბჭოთა ლიტერატურის დღეებს საქართველოში გამოუხმაურა დიდი მოწონებით წერილით (№ 10), ხოლო შემდგომ ნომრებში გამოვაქვეყნებთ უშუალოდ ამ დღეებთან დაკავშირებულ მასალებს.

გურამ ფანჯიკიძე,
ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲝ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ

სადღესასწაულო დღეებს მშვენიერი საჩუქრები მოუმზადეს გამომცემლობებმა. „მერანში“ რამდენიმე წიგნი გამოვიდა ქართულ და რუსულ ენებზე. სერიით „საბჭოთა პროზის ოსტატები“ მკითხველმა ქართულ ენაზე მიიღო კრებული „თანამედროვე რუსული მოთხრობა“, რომელშიც გაერთიანებულია თანამედროვე რუსული პროზის ცნობილ ოსტატთა ნაწარმოებები. „აფხაზეთი“ ჰქვია აფხაზური პოეზიის კრებულს, ხოლო „თის სიმღერები“ — ოსურისას. „სომხური მოთხრობები“ მკითხველმა მიიღო საერთო სათაურით „მეგობრობის სადღეგრძელო“, ხოლო კრებულში „ჩვენი ძმობის საგალობელი“ შეიდა ლექსები, რომელსაც აზერბაიჯანელი პოეტები უძღვნიან საქართველოს.

ქართულად წავიკითხავთ აგრეთვე სერგეი ესენინის ლექსების ცნობილ ციკლს „სპარსული მოტივები“, ივან ბუნინის „მიტიას სიყვარული“ და გამომცემლობა „ბანაშლეპას“ მიერ გამოცემულ კონსტანტინე სიმონოვის ლექსთა კრებულს „სამშობლო“.

„მერანმა“ ორიგ რუს მკითხველს დასწყვიტა გული. გამოვიდა ნიკოლოზ ტიხონოვის ორტომეული, რომელშიც შეიდა ლექსები საქართველოზე, თარგმანები ქართული პოეზიისა, მოთხრობები საქართველოზე, ნარკვევები, წერილები ქართველ მწერალთა და პოეტთა ძველ და ახალ თაობაზე.

ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

დღევანდელი სოფლის ყოველდღიურმა წარმატებებმა თავისი სასურველი კვალი დაჩნია შრომელი ადამიანის ყოფა-ცხოვრებას. ახლა ჩვენს სოფელში, ისევე როგორც საბჭოთის ყველა კუთხეში, შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ, დამსახურებულად საოგებლობენ დღევანდელობის ყველა სიკეთით. კოლმეურნეობაში მუშაობასა და ოჯახზე მზრუნველობასთან ერთად მიინც ვპოულობთ დროს, რომ წავიკითხოთ საყვარელ ავტორთა ახალი ნაწარმოები.

როდესაც სასიამოვნოა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ისევ ეწყობა საბჭოთა ლიტერატურის დღეები, რომ ისევ გვესტუმრებიან მოძმე ერების ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები. საბჭოთა ლიტერატურის დღეებში ქართველ მკითხველს საშუალება ექნებათ შეხვდნენ თვიანთ საყვარელ მწერლებს, პოეტებს, ესაუბრონ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ყოველივე ეს ერთიერად გვიხარია, რადგან ჩინატურულ შრომელებსაც ეწვევიან სახელოვანი ადამიანები.

სულითა და გულით გელოდებით, სასურველო სტუმრებო!

თ. ოსეფაიშვილი.
ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის მოწინავე მეჩაიე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სასურველი სტუმრები

დღევანდელი სოფლის ყოველდღიურმა წარმატებებმა თავისი სასურველი კვალი დაჩნია შრომელი ადამიანის ყოფა-ცხოვრებას. ახლა ჩვენს სოფელში, ისევე როგორც საბჭოთის ყველა კუთხეში, შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ, დამსახურებულად საოგებლობენ დღევანდელობის ყველა სიკეთით. კოლმეურნეობაში მუშაობასა და ოჯახზე მზრუნველობასთან ერთად მიინც ვპოულობთ დროს, რომ წავიკითხოთ საყვარელ ავტორთა ახალი ნაწარმოები.

რაოდენ სასიამოვნოა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ისევ ეწყობა საბჭოთა ლიტერატუ-

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ

პარიზი, 25 ოქტომბერი. (საკადესი). დღეს აქ დაიწყო საფრანგეთის მთავრობის მოწვევით საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. დე გირენგოს მოლაპარაკება.

გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებსა და მსოფლიო პოლიტიკის ურთიერთსაინტერესო მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებზე.

სპკპ დელეგაცია ჰამბურგში

ჰამბურგი, 25 ოქტომბერი. (საკადესი). გერმანელთა კომუნისტური პარტიის მინჰაიმის ყოფილობის მონაწილე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ძ. ვ. ზიმიანინის მეთაურობით დღეს ჰამბურგი ჩამოვიდა. დელეგაციის წევრები იყვნენ ე. ტელმანის მუზეუმში, რომელიც ეპენდორფის მუშათა რაიონში მდებარეობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს მუზეუმის ექსპოზიცია. მათ ყვავილებით შეამკეს მუზეუმის შენობაში დადგმული ე. ტელმანის ბიუსტი.

Ე. ᲞᲐᲞᲐᲘᲝᲐᲜᲣᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ნიკოზია, 26 ოქტომბერი. (საკადესი). კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის აქ გამართულ პლენუმზე მოხსენება გააკეთა პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. პაპაიოანუმ. მან გამოთქვა ქვეყნის ზოგიერთი პოლიტიკური წრეების ცდები საეჭვო გაბადონ კვიპროსის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის არქიეპისკოპოს მაკარიოსის მიერ შეძლებული პოლიტიკური ხაზის სისწორე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი. (საკადესი). **ხიონიზმი, როგორც რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, მკაცრად დაგმეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტში (სოციალური, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტი) გამართული დისკუსიის დროს.**

მთელი ხალხისათვის—პალესტინელებისათვის ეროვნული კუთვნილების წართმევა შეობლიურ

ᲓᲐᲒᲛᲔᲡ ᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ

მიწა-წყლიდან მათი განდევნის გზით—რასობრივი დისკრიმინაციის ყველაზე აშკარა გამოვლინებაა, განაცხადა იორდანიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჰ. ნუსეიბმა.

სიონისტმა ოკუპანტებმა, აღნიშნა იორნის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგატმა მ. ობადიმ, წაართვეს პალესტინელ ხალხს, ადამიანის ძირითადი უფლებები. სიონიზმი დაფუძნებით უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, რომელსაც არაერთხელ დაუდასტურებია პალესტინელთა უფლება დაუბრუნდნენ თავიანთ კერებს.

ასეთი სიონისტური ცნებები, როგორიცაა „რჩეული ხალხი“, „აღთქმული მიწა“, არსებითად რასისტულია, რადგან ისინი მეორეხარისხოვნად აცხადებენ სხვა ხალხებსა და ქვეყნებს, განაცხადა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მეთვალყურემ შაუქი არმალიმ.

კატარის წარმომადგენელმა ამბდელ რაჰმან ალ-კალაფიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოუწოდა იხმაროს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა ბოლო მოუღოს ყველა სახის რასობრივ დისკრიმინაციას.

კომიტეტის განსახილველად შემოტანილია რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მოწოდებას სასტიკად დაგმონ ისრაელის ექსპანსიონისტური პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, სადაც იგი განაგრძობს რეიდებს პალესტინელთა დასახლებების წინააღმდეგ, რაც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს პალესტინის ხალხის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლებების რეალიზაციის გზაზე.

ᲡᲐᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ

ვაშინგტონი, 25 ოქტომბერი. (საკადესი). **ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ხ. ვენსი დაბრუნდა აქ მოსკოვიდან, სადაც გრძელდებოდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.**

მოსკოვის მოლაპარაკებამ, განაცხადა საერთაშორისო სამართლის პროფესორმა რ. ვიტზელმა, დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირი გულწრფელად ესწრაფვის შეთანხმების დადებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, კონსტრუქციულად უდგება განხილველ პრობლემას. ამერიკელმა მეცნიერმა გამოთქვა აზრი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ მეტი მზადყოფნა და კეთილი ნება უნდა გამოიჩინოს პოზიციური ვადაწყვეტილების მისაღწევად, უნდა დაძლიოს ამ მიზნით შეთანხმებისადმი ოპოზიცია „ქორებისა“ და ხაბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების სხვა მოწინააღმდეგეების მხრივ.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

დემონსტრანტთა კოლონა იაპონიის დედაქალაქის ქუჩებში. მათი მიზანი ერთია: მიაპყრონ ხელისუფალთა ყურადღება თავიანთ სავალალო მდგომარეობას, ფინანსურ-ეკონომიკურ პრობლემებს.

ჯაპან პრეს-საკადესის ფოტო.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ

დიუსელდორფი, 25 ოქტომბერი. (საკადესის კორ.). **კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის წარმატებით ვითარდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია პირველი ერთობლივი დადგმა დიუსელდორფის თეატრის სცენაზე მუსიკალური სპექტაკლისა „ფანტელა“ ქართული ზღაპრის მოტივების მიხედვით. მუსიკა სპექტაკლისათვის დაწერა საბჭოთა კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ, ლიბრეტო ეკუთვნის დიუსელდორფის**

Ა. ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲘᲡ „ᲤᲐᲜᲢᲔᲚᲐ“ — ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელს ბარბარა ორტელ-ბურდულს. იგი სპექტაკლში მთხრობელის როლსაც ასრულებს.

„ფანტელას“ ერთობლივი დადგმა თვალსაჩინო მოვლენაა არა მარტო დიუსელდორფის ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის კულტურულ ურთიერთობაში, თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში ბ. ორტელ-ბურდულმა.

ჩვენს თეატრსა და საბჭოთა კოლეგებს შორის მოსკოვსა და თბილისში, განაგრძო ბ. ორტელ-ბურდულმა, მჭიდრო კონტაქტები დამყარდა. დიუსელდორფის თეატრალური ხელოვნების მოყვარულნი კარგად იცობენ მოსკოვის აკადემიური მცირე თეატრის, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებს. ჩვენ არაერთხელ ყოფილვართ საგასტროლოდ საბჭოთა კავშირში. ამ ბოლო წლებში თანამშრომლობა ჩვენს თეატრებს შორის, ტრადიციულ გასტროლებთან ერთად, უფრო მაღალ დონეზე ვითარდება. უფრო მეტია მრავალმხრივი და საინტერესო ურთიერთშენადებები. გაისად, მაგალითად, რუსთაველის სახელობის თეატრის რეჟისორი რ. სტურუა დიუსელდორფის თეატრის სცენაზე დადგამს ა. ოსტროვსკის პიესას „მშაგი ფული“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘᲕᲘᲗ

09.00 — „ეკრანი“ (მოსკოვიდან), 10.35 — „ოლიმპიადა“ (ფილმ-ანსამბლი), 08.50 — „ბავშვებისათვის“ (ქართული ენაზე), 09.50 — კინონარკვევი, 10.10 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 16.55 — უცხოელის სასწავლებელში შესასვლელთათვის — ქიმია, 17.25 — მოსწავლეთათვის ფრანგული ენა, 17.55 — საკავშირო ᲐᲚᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომპარტიის აქტივის სხვადასხვა ულ სხდომა და სადღესასწაულო კონცერტი, მიძღვნილი საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მე-60 წლისთავისადმი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. შესვენებისას „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 22.00 — „ფრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი) II ტაიმი, 23.15 — დოკუმენტური ფილმი „მეექვსე ცდა“ (თბილისის „დინამო“ — თასის მფლობელი).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — „მასწავლებლის საათი“ — ქიმია, 18.45 — განცხადებები, 18.50 — მხატვრული ფილმი „ჩემი სიყვარული მესამე კურსზეა“ (ფერადი), 20.20 — „მუსიკალური კალენდარი“, 21.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუშა კაცი ვარ“.

ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲯᲐᲚᲘᲩᲜᲘᲠᲘ ᲨᲚᲔᲘᲤᲐ; Ზ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲞᲐᲥᲘᲠᲘ; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ᲐᲠᲨᲘᲜ ᲛᲐᲚ ᲐᲚᲐᲜ; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ; მინიატიურების სახელმწიფო — ᲖᲘᲛᲑᲘᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲖᲘᲡ ᲓᲐᲑᲜᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

სოფელ ჩარგლის (დუშეთის რაიონი) ᲕᲐᲫᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, რომ მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით დროებით შეწყვეტილია დამთვალიერებელთა მიღება.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80 ხამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 98-22-98 მრეწველობის — 98-20-84 საოფლის მეურნეობის — 99-52-46 საბჭოთა ძმენებლობის — 98-18-70 მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლების და კულტურის — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24 ილუსტრაციის — 98-28-54

КОМУНИСТИ ИНДЕКС 76443 უე 1339

საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.